საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზრამაგა

ზრამაგა, ციხე ისტ. დვალეთის ერთ-ერთ თემში – ზრამაგისხევში, რ-შიც ვახუშტი ბატონიშვილი ანსხვავებს ორ დასახლებულ პუნქტს – ზემო და ქვემო ზ-ს: „ქვემო ზრამაგა... ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან, და დაბა კოშკოვანი". ზ-ის ციხე თავისი ზომით და გეგმით მნიშვნელოვნად განსხვავდება ადგილ. საგვარეულო კოშკებისაგან. იგი აღმართულია კოშკივით წინ წამოწეულ მაღალ გორაზე, რ-ის ძირას ერთმანეთს ერთვის რამდენიმე მდინარე. ზ-ის ციხის ძირთან იწყება კასრის ხეობა. თვით ციხე ხეობის სიღრმეში იყურება. კლდე, რ-ზეც ზ. დგას, აღმ-ით შვეულად ეშვება და მიუდგომელია. კოშკის ზომაა 13 მ 26 მ. ციხის ნაგებობის გეგმა წარმოადგენს არასწორ ოთხკუთხედს. XVII ს-ში ზ-სა და ქართლს შორის ინტენს. ურთიერთობა იყო. XVII–XVIII სს. მიჯნაზე ზ-ის წარჩინებულ გვარად და ციხის მფლობელად მოიხსენიებიან ელიყანაშვილები, რ-თა თავკაცები ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ქართლის მეფეებთან. დვალეთს არაერთხელ შეფარებია მეფე არჩილ II, ხოლო 1689 ზ-ში მისი შვილებიც იყვნენ.

წყარო: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

ჯ. გვასალია